

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
 ფაკულტეტი
 საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ინგლისური ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი BA in Humanities

პროგრამის კოორდინატორი: სრული პროფ. რუსუდან ენუქიძე

საბაკალავრო პროგრამის მიზანი: ბაკალავრიატი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით მოიცავს ორ ძირითად პროგრამას: ინგლისური ენა და ინგლისური ლიტერატურა. პროგრამის ძირითადი და საბოლოო მიზანი ითვალისწინებს ინგლისურ ფილოლოგიაში კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომლის ცოდნა დაეფუძნება სკოლის შემდგომი დონის სასწავლო მასალას და მოიცავს ზემოაღნიშნულ პროგრამათა განმსაზღვრელ ძირითად ასპექტებს.

ბაკალავრიატში ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სპეციალობის (major) დაუფლების უპირველესი და განმსაზღვრელი მიზანია ინგლისური ენისა და ლიტერატურის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების სიღრმისეული შესწავლა, პრაქტიკული და მეცნიერული კომპეტენციების შექმნა, მათი გამოყენების მაღალი სტანდარტების დაუფლება. იგი მიზნად ისახავს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; ამასთან ერთად, იგი სტუდენტს უმუშავებს არჩეული დარგის სამეცნიერო საფუძვლებს, უნვითარებს მას როგორც ძირითად მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს, ასევე პრაქტიკულ-პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც ბაკალავრს შემდგომში გაუადვილებს დასაქმებასა და საზოგადოების წარმატებულ წევრად ქცევას.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტს უნვითარებს ენობრივ კომპეტენციას. ბაკალავრიატის დასრულების ეტაპზე ბაკალავრის ცოდნა უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. “საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს” ენობრივი კომპეტენციას B2-C1 დონეს (როგორც ცნობილია, საერთო ეროვნული გამოცდის დონე შეესაბამება A2-B1 დონეს). უცხო ენის დაუფლების პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება და იხვეწება ვერბალური კომუნიკაციის ოთხი უნარ-ჩვევის შესაბამისად. ესენია: კითხვა, წერა, ზეპირი მეტყველება, მოსმენა-აუდირება.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს თანამედროვე ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების უახლეს მეთოდებზე დამყარებული კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწას. ამას ემსახურება ინგლისური ენის თეორიისა და ინგლისური ლიტერატურის ასპექტები.

სწავლის მოსალოდნელი შედეგი: საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც შეუძლია თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენება საკუთარი პროფესიული მიდგომის წარმოსაჩენად; გააჩნია

თავისი სპეციალობისა და პროგრამით გათვალისწინებული მომიჯნავე დისციპლინების ფარგლებში კრიტიკული აზროვნებისა და ინტერპრეტირების უნარი; შეუძლია შესასწავლი საკითხის მართებულად დასმა, მასზე მსჯელობა და მოსაზრებების ჩამოყალიბება, ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანა; ხელეწიფება დაამყაროს ადეკვატური სოციალური ურთიერთობა როგორც სპეციალისტებთან, ასევე არასპეციალისტებთან.

გარდა ამისა, ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის (როგორც მაგისტრატურაში, დოქტურატურაში, ასევე დამოუკიდებლად სწავლის გადრმავეებისათვის).

ყოველივე ეს ხელს უწყობს ჩვენი კურსდამთავრებული ბაკალავრის როგორც წარმატებულ დასაქმებას, ისე მის წარმატებულ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

<p>საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მომართულებით.</p>	<p>სწავლება, სწავლა და შეფასება</p>
<p>I. ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>1. სტუდენტი ფლობს ზოგად ინფორმაციას სპეციალობის ყველა თეორიული საგნისა თუ ენის პრაქტიკული ასპექტის, ინგლისური ლიტერატურის ყველა კურსის შესახებ, რომელსაც იგი შეისწავლის ბაკალავრიატის ამ სემესტრის განმავლობაში. ამით მას ზოგადი წარმოდგენა ექმნება იმ სასწავლო პროგრამაზე, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს ინგლისური ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლის დროს.</p> <p>2. სტუდენტი ფლობს ზოგად თეორიულ ინფორმაციას სამეტყველო სტილების და ინტონაციის პარამეტრების შესახებ, რაც მას ეხმარება ენათმეცნიერული მოვლენებისადმი შემოქმედებითი მიდგომის გამომუშავებაში.</p> <p>3. სტუდენტი ენას აღიქვამს არა როგორც მასში შემავალ ერთეულთა ქაოტურ გროვას, არამედ როგორც მკაცრ სისტემურ მექანიზმს, რომლის შემადგენელი ერთეულები ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგანმსაზღვრელნი არიან.</p> <p>4. სტუდენტს აქვს საფუძვლიანი ცოდნა</p>	<p>შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში; I სემესტრი</p> <p>ინგლისური ენის თეორიული ფონეტიკა; V სემესტრი</p> <p>ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა; V სემესტრი</p> <p>ინგლისური ენის ლექსიკოლოგია; VI სემესტრი</p>

<p>ლექსიკის სისტემურობისა და მეტყველების აგებისას ლექსიკური კატეგორიების როლის შესახებ. იგი ფლობს გარკვეულ ცოდნას ლექსიკური ერთეულების სპეციფიკური თვისებების შესახებ, რომლებიც მქლავნდება კონტექსტის ფარგლებში სიტყვის ფუნქციების სიღრმისეულ ანალიზში.</p>	<p>ინგლისური ენის სტილისტიკა; VII სემესტრი</p>
<p>5. სტუდენტი ფლობს თეორიულ ცოდნას სხვადასხვა დონის სტილისტური ხერხებისა და ექსპრესიული საშუალებების შესახებ, რასაც მისეული ორიგინალური ანალიზი მხატვრული ტექსტისა პროფესიულ დონეზე აჰყავს. მას აქვს ცოდნა სტილისტური მოვლენების აღქმა-გაანალიზებისა ტექსტთან და დისკურსთან მიმართებაში.</p>	<p>ინგლისური ენის ისტორია; VII სემესტრი</p>
<p>6. სტუდენტს აქვს ცოდნა ინგლისური ენის დიაქრონული განვითარების ძველი და საშუალო ინგლისურის დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ; აგრეთვე რადიკალური ცვლილებების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების შესახებ.</p>	<p>ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურს შორის არსებული ენობრივი განსხვავებები; V სემესტრი</p>
<p>7. სტუდენტი ფლობს ზოგად ინფორმაციას ინგლისური ენის ორი "არტერიას" (ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის) შორის არსებულ განსხვავებებზე; გაცნობიერებული აქვს ამერიკული ინგლისურისათვის დამახასიათებელი ნიშნები.</p>	<p>რეზიუმირება, რეფერირება, სამეცნიერო ტექსტის თარგმნა, რეცენზირება); VIII სემესტრი</p>
<p>8. სტუდენტს აქვს ცოდნა სამეცნიერო სტატიების რეზიუმირებასა და რეფერირებაში, როგორც მათ შედგენაში, ისე თარგმანში ქართულიდან ინგლისურად და პირიქით; თავისებური აქვს რეცენზირების მიზნები (კვლევის მეთოდების სისწორე, მიღებული დასკვნების შეფასება და ა.შ.); იცნობს სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს.</p>	<p>ბრიტანეთმცოდნეობის საფუძვლები</p>
<p>9. სტუდენტს აქვს ბრიტანული კულტურის საკვანძო მომენტებისა და კატეგორიების შესახებ მყარი ცოდნა, შეუძლია მთ შესახებ ინლისურ ენაზე მსჯელობა და საუბარი</p>	<p>ბრიტანულ ამერიკული კვლევების სემიოტიკური ასპექტები</p>
<p>10. სტუდენტს აქვს თანამედროვე სემიოტიკის ძირითადი თეორიებისა და პოსტულატების კრიოტიკულ შეფასებისა და მათზე დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი</p>	<p>ინგლისური ენის ვარიანტები ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის ყველა ასპექტი</p>

11. სტუდენტს აქვს ინგლისური ენის დიალექტებისა და ნაირსახეობის შესახებ მყარი ცოდნა

II. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

ინგლისური ენის შესწავლისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება:

იგი უნდა ფლობდეს ინგლისურად საუბრის, წერის, ვერბალური და არავერბალური ეფექტურ უნარ-ჩვევებს.

ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება ზეპირმეტყველების მთელი რიგი მიზნებისათვის, საუბრის ეფექტური წარმართვის ჩვევები ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის გაგების, თარგმნის, მორფო-სემანტიკური ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. ინგლისურ ენაზე წერითი კორესპონდენციის (წერილები, მემოს, ანგარიშის, სტატიის და ა.შ) წარმოების უნარი. ინგლისურ ენაზე ორიგინალური ტექსტების მოსმენის, გაგების, ანალიზისა და რეპროდუქციის უნარი.

საქმიანი წერილების შედგენის ცოდნა, საქმიანი მოლაპარაკების წარმოების უნარი, მარკეტინგის და მენეჯმენტის წარმოებისთვის დამახასიათებელი ლექსიკის შესწავლა, რაც სტუდენტს მისცემს საშუალებას იმუშაოს საქართველოში შესაბამისი პროფილის ინგლისურენოვან ფირმებში.

ინგლისური ლიტერატურის ღრმა ცოდნა, პარალელების გავლების უნარი ევროპულ და ინგლისურ ლიტერატურას შორის.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები

კოგნიტიური უნარები

სათანადო დასკვნების გამოტანის, ანალიზის, აბსტრაქტული აზროვნების უნარი. წამოჭრილი პრობლემების განზოგადების და სწრაფად გადაჭრის უნარი. მეცნიერული ხედვისა და ენათმეცნიერული

ტრანსფერული უნარები ვითარდება დანართში ჩამოთვლილი საგნებისა და კურსების ლექციებზე, სემინარებზე, რომელიმე საკითხის ირგვლივ დისკუსიის დროს, რეფერატებზე, პრეზენტაციებზე ინდივიდუალური

<p>საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომის უნარი იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა. ლიტერატურული გემოვნების განვითარება.</p> <p>მხატვრული ტექსტის მიმართ შემოქმედებითი მიდგომა ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე, რაც მწერლის მსოფლალქმას, მის ესთეტიკურ შეხედულებებს და ინდივიდუალური სტილს განსაზღვრავს.</p> <p>აზრის ლაკონურად და გასაგებად გადმოცემის უნარი</p> <p>მეთოდოლოგიური უნარები სწავლის დაგეგმვის და ორგანიზების უნარი; გადაწყვეტილების მიღება პრობლემების გადაჭრის პროცესში.</p> <p>ტექნოლოგიური უნარები სხვადასხვა წყაროებიდან მრავალმხრივი ინფორმაციის მიღებისა და მართვის უნარი. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენება სხვადასხვა მიზნისთვის.</p> <p>ლინგვისტური უნარები გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე. ლექსიკური, გრამატიკული, სემანტიკური და ფონოლოგიური კომპეტენციის შექმნა.</p> <p>სოციალური უნარები ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის ჩვევების გამომუშავება; ერთობლივ შესრულებულ სამუშაოზე სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გამოხატვა.</p> <p>სისტემური უნარები ახალ გარემოსთან ადაპტირების უნარი, პრობლემური საკითხის დამოუკიდებლად სწორად დასმისა და გადაჭრის უნარი.</p>	<p>ან ჯგუფური მუშაობით. ასევე ჯგუფური პროექტების მომზადებით.</p>
--	--

დასაქმების სფერო : ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო მიზნები, კომპეტენციები და დასაქმების შესაძლო სფეროები ორიენტირებულია შრომისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ყველა იმ დაწესებულებაში, სადაც ხდება ადამიანთა შორის ნებისმიერი ტიპის ვერბალური დისკურსის მეშვეობით კომუნიკაცია. ყველა ამ შემთხვევაში კურსდამთავრებულს საქმე აქვს იმ ტიპის ზეპირ თუ წერით ტექსტებთან, რომელიც მან შეისწავლა ბაკალავრიატის საფეხურზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება, თარგმანი (როგორც ზეპირი, ისე წერითი სახით), მასზე მსჯელობა, ანალიზი და რეპრეზენტაცია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მით უფრო თუ კურსდამთავრებულს გავლილი აქვს რეკომენდებული მაინორი პროგრამის

რომელიმე კურსი (იხ. ქვემოთ), ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულმა შეიძლება იმუშაოს

1. ზოგად საგანმანათლებლო სასწავლო (როგორც კერძო, ისე სახელმწიფო). დაწესებულებებში
2. მთარგმნელობით ბიუროში (მთარგმნელად, რედაქტორად)
3. სამუზეუმო სფეროში(მეგზურად, გიდად)
- 4.პრესაში, ტელევიზიაში (მოდერატორად, კორესპონდენტად,რედაქტორად).
- 5.გამომცემლობაში (რედაქტორად, მთარგმნელად)
6. საელჩოში
- 7.ნებისმიერი ორგანიზაციის ინფორმაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში (მთარგმნელად, მენეჯერად).

სწავლის გაგრძელების საშუალება: ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს შემდეგი პროფილის სამაგისტრო პროგრამებზე: ინგლისური ფილოლოგია, ჟურნალისტიკა, სახელმწიფო მენეჯმენტი, ბიზნესის სკოლა (ამას ხელს უწყობს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრიატის V-VII სემესტრებში ბიზნესის ენის ასპექტის საფუძვლიანი სწავლება) და ა. შ.

მიღების წინაპირობა:

საერთო ეროვნულ გამოცდაზე ინგლისურ ენაში მიღებული მინიმალური ქულა **70** სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა 160-170

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სწავლების I სემესტრი.

სტრუქტურა: ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ერთერთი ძირითადი კომპონენტია ინგლისური ენა (მეორე ძირითადი კომპონენტი ინგლისური ლტერატურა). ინგლისური ენის პროგრამაში შედის ენის პრაქტიკული და თეორიული ასპექტები.

ინგლისური პრაქტიკული ენის სწავლების ასპექტები იყოფა 2 ჯგუფად:

- ა)საუნივერსიტეტო დონე, რომელიც მოიცავს ტრადიციულ ასპექტებს: პრაქტიკული ფონეტიკა, პრაქტიკული გრამატიკა, ანალიზური კითხვა, საშინაო კითხვა, საუბრის ხელოვნება, პრესა, მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია, ბიზნესის ენა ეს დონე ცოდნის დაგროვებაზეა ორიენტირებული; და,
- ბ) კემბრიჯის სერტიფიკატების მოსამზადებელი კურსი (V-VII სემესტრები სერტიფიკატი FCE; რომელსაც პრაქტიკული საათების საერთო რაოდენობიდან გადაეცა ყოველკვირეული 2 საათი. ეს კურსი ორიენტირებულია უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ეს კურსი და ბიზნესის ენის ასპექტის გაძლიერებული სწავლება დავიწყეთ ჯერ კიდევ 2004/2005 სასწ. წლიდან იმ მიზნით, რომ კურსდამთავრებულის ცოდნა და უნარ-ჩვევები მიესადაგოს თანამედროვე მოთხოვნებს.

ინგლისური ენის თეორიული ასპექტი მოიცავს შემდეგ ლინგვისტურ დისციპლინებს: შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ინგლისური ენის სტრუქტურა (თეორიული ფონეტიკა, თეორიული გრამატიკა), ლექსიკოლოგია, ლინგვოსტილისტიკა, ინგლისური ენის ისტორია.

ინგლისური ლიტერატურის პროგრამა მიზნად ისახავს ინგლისური ლიტერატურის მთავარ მიმართულებათა და ავტორთა შესწავლას შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის ჩათვლით. კურსის მიზანია სტუდენტისათვის ინგლისურ ენაზე მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ამასთანავე სემინარებზე დისკუსია და პრეზენტაცია ხელს უწყობს საკუთარი აზრის არგუმენტირებისა და საჯაროდ წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარებას. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია სამუშაო ფორმატში ლექციასთან ერთად სემინარული მუშაობა. ინგლისური ლიტერატურის შესწავლას წინ უნდა უსწრებდეს 1/ ანტიკური და 2/ დასავლური ლიტერატურის კურსები, რომელიც სასურველია საფაკულტეტო საგნებად იყოს წაკითხული.

პროგრამის სილაბუსები (იხ. დანართი 1)

შეფასება:

შეფასების სისტემა ასქულიანია და ითვალისწინებს დისციპლინაში შემავალ ყველა კომპონენტს. თითოეული დისციპლინის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპონენტების პროცენტული განაწილება იცვლება. (იხ. დანართი)

მინიმალური დამაკმაყოფილებელი შეფასება - 51 ქულა

major/minor პროგრამების კომბინაციები.

major

ინგლისური ენა

minor

ქართული ფილოლოგია

პედაგოგიკა

ტურიზმი

ჟურნალისტიკა

საერთაშორისო ურთიერთობები

ბიზნესის ადმინისტრირება